



წლიური
ანგარიში 2019

25 წელი

ადამიანის უფლებებისთვის



25

წელი

ადამიანის უფლებებისთვის



წლიური
ანგარიში 2019

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ირმა პავლიაშვილი, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
ქალაქის უფლებები	9
ქალთა უფლებები	10
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	12
მართლმსაჯულება	14
გარემო	17
ჯანდაცვა	19
მედია	20
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა	21
საპარლამენტო კონტროლი	22
მართლმსაჯულების რეფორმა	22
საჯარო მმართველობა (გამჭვირვალობა, საჯარო ფინანსების მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობა)	24
არჩევნები	27
სამართლებრივი დახმარება	29
მოგებული საქმეები	31
წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა	38
20-21 ივნისის საქმეები	39
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა	40
საქართველოს სიტუაციის გამოძიება ჰააგის სასამართლოში	41
საპარლამენტო საქმიანობა და კანონმდებლობით პროცესში ჩართულობა	43
სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება	47
ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში	47
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა	50
მედია და საზოგადოებრივი კამპანიები	51
უინანსური ანგარიში	55



ქვირუასო საიას წევრო,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაფუძნებიდან 25 წელს აღნიშნავს. შესაბამისად, პირველი, რასაც თქვენ ახლა წაიკითხავთ, ეს ჩემი, როგორც რიგითი საიელის გულწრფელი მოლოცვა და მადლობაა. მოლოცვა და მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც 25 წლის წინ, ქვეყნისთვის რთულ და არეულ დროში, საია დააფუძნა. მთელ თაობებს, წევრებს და თანამშრომლებს, ვინც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საიას დაუკავშირა და მტკიცედ სჯეროდა/სჯერა, რომ საია სწორედ ის არის, სადაც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა ცხოვრების წესია.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ძალიან რთულია წევრობაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მეორე ისეთი ორგანიზაციის გახსენება საქართველოში, რომელიც 25 წელია არ ჩამოდის სცენიდან. მუდმივად მოვლენების ცენტრშია და მაღალი ნდობით სარგებლობს. ცხადია, ეს დიდი შრომის, მონდომების და მრავალწლიანი ტრადიციის შედეგია. ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ ყველგან, სადაც ჩვენი ყოფნა არის საჭირო, სადაც ხშირად არ გველიან, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ ჩვენი ყოფნა იყოს გადამწყვეტი.

ყოველდღიურად უამრავი ადამიანი აკითხავს საიას ოფისებს და სიმართლის პოვნას ცდილობს. არც თუ იშვიათად, ჩვენ მათი ბოლო იმედი ვართ. წლის განმავლობაში განეული ათასობით კონსულტაცია, მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტი და წარმატებით დასრულებული სასამართლო დავები საიას თანამშრომლების მაღალი პასუხისმგებლობის შედეგია. ამ სტატისტიკას და სხვა თანმდევ მნიშვნელოვან ინფორმაციას წინამდებარე ანგარიშში გაეცნობით, მანამდე კი, ჩემი მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა ადამიანის მიმართ, ვინც ნდობას გვიცხადებს და საიას სამართლებრივი დახმარების პროგრამით სარგებლობს.

ცხადია, სულაც არ ვაპირებ, ეს წერილი მხოლოდ ჩვენს ქებას დავეთმო. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საანგარიშო წლის განმავლობაში, იმდენი მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, სულაც საეტაპო მოვლენას ჰქონდა ადგილი ქვეყანაში, რომ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები გველის წინ. თქვენის ნებართვით, აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას.

სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც წლის განმავლობაში მუდმივად გვიწევდა საუბარი, მართლმსაჯულებას, უფრო ზუსტად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკავშირდებოდა. გასული წლის დეკემბ-

ერში დაწყებულმა პროცესმა ნათლად აჩვენა - დამოუკიდებელი მართლმსაჯულება კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამონწვევად. 2020 წლიდან საია კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მიმართავს დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისკენ. ამ მიზნით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში უკვე გადავდგით შესაბამისი ნაბიჯები, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის ადამიანური რესურსით გაძლიერებას უკავშირდება.

გვერდს ვერ აგვუვლით 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს რუსთაველზე, პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საიამ ცალკე ანგარიში მიუძღვნა და დღეს უკვე ის ყველასთვის ხელმისაწვდომია. 20-21 ივნისის მოვლენები მხოლოდ ანგარიშის მომზადებით არ ყოფილა საიასთვის საყურადღებო. რუსთაველზე, პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენების შემდეგ, საია სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში ათეულობით პირის ინტერესს იცავდა და ნათლად დავინახეთ პრობლემები, რომლებიც, სამწუხაროდ, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს საქმიანობას უკავშირდებოდა.

2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს განვითარებული მოვლენების შემდეგ საზოგადოების მკვეთრი და სამართლიანი პროტესტის შედეგი იყო მმართველი პარტიის საჯარო დაპირება, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ბუნებრივი ბარიერის პირობებში, პროპორციული წესით ჩატარდებოდა. თუმცა, მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში განვითარებულმა მოვლენებმა და პარლამენტში პირველივე მოსმენით ჩაგდებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა ცხადყო, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ჯერ კიდევ მოსაპოვებელია, ხოლო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავაც უსამართლო საარჩევნო სისტემით ჩატარების საფრთხის წინაშე დგას. ცხადია, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საიას საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება.

წლის განმავლობაში ხშირად ვსაუბრობდით ადამიანის უფლებების კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ. არაერთ შეხვედრაში, კონფერენციასა და დისკუსიაში მივიღეთ მონაწილეობა. თუმცა, ახლა 2019 წლის მიწურულს შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან არაერთი მიმართულებით არსებული სტრატეგიის თუ სამოქმედო გეგმის პირობებშიც კი, ადამიანის უფლებების დაცვა ძირითადად ქაღალდზე დაწერილ დოკუმენტად რჩება და პრაქტიკაში მისი გადატანა კვლავაც პრობლემაა. სწორედ საიას ადამიანის უფლებების პროგრამის გაძლიერება იქნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება 2020 წლისათვის.

პარალელურად, ვცდილობთ, რომ საიას მმართველობითი და ორგანიზაციული რეფორმა ბოლომდე მივიყვანოთ. ამ მხრივ, საიას წევრების მიერ გასულ წელს საერთო კრებაზე გამოცხადებული ნდობა დიდი მხარდაჭერა იყო ჩვენთვის. ძალიან კარგად ვიცით, თუ რამდენად რთული შეიძლება იყოს რეფორმასთან დაკავშირებული ეს პროცესი, თუმცა, მონდომების და ერთად მუშაობის პირობებში, მიუღწეველი ნამდვილად არ არის.


კიდევ ერთხელ, მინდა საიას თითოეული წევრის და თანამშრომლის მიმართ ჩემი მაღლიერება გამოვხატო და წარმატებები ვუსურვო ყველას.

სულხან სალაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

2

აღაგაიანის



5

წელი

უფლებებისთვის

საიან მოვინების დაარსების წლები:

- თბილისის მოვინი - 1994 წელი
- აჭარის ფილიალი - 1995 წელი
- რუსთავის მოვინი - 1995 წელი
- ქუთაისის ფილიალი - 1996 წელი
- გორის მოვინი - 2000 წელი
- ოზურგეთის მოვინი - 2001 წელი
- თელავის მოვინი - 2002 წელი
- ღუშეთის მოვინი - 2002 წელი
- ზუგდიდის მოვინი - 2014 წელი



ჰინ პართ და რას ჰაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 400 წევრს აერთიანებს. საია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ თანდათან აფართოებს სამოქმედო არეალს. დღეისთვის ორგანიზაცია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერირებს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში.

ორგანიზაციის ზრდასთან ერთად, წლების განმავლობაში, წარმოიშვა სტრუქტურული ცვლილებების საჭიროება, რათა საიას საქმიანობის სტანდარტი შესაბამისობაში მოსულიყო დონორების ახალ მოთხოვნებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის (CSO) ეკოსისტემის ცვლილებებთან. 2016 წელს, საქართველოში USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების HICD 2020 პროექტის მხარდაჭერით, საიას საქმიანობა შეფასდა ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების კუთხით. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები და უკვე 2018 წლიდან დაიგეგმა რეფორმის ორი ფაზა. პირველი ფაზა მოიცავს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო მეორე – საკადრო პოლიტიკის დახვეწას, რეგიონული ოფისების განვითარებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების შემუშავებას.

სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების კოორდინაციის უფლებამოსილება გადაეცა ადმინისტრაციულ დირექტორს, ხოლო პროექტულ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- ადამიანის უფლებების დაცვა
- დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა
- სამართლებრივი დახმარება

საიაში რეფორმის პროცესი შემდეგ საანგარიშო წელსაც გაგრძელდება.

ამჯერად კი, წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგინთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2019 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 1-ლი ნოემბერი – 2019 წლის 1-ლი ნოემბერი).

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა და დაცვის მექანიზმების განვითარება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძირითად სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საიას ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის მიზანია, შეისწავლოს ამ კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარება, გააანალიზოს არსებული გამოწვევები და ხელი შეუწყოს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე.

პროგრამის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ქალთა უფლებები
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა
- მართლმსაჯულება
- გარემოს დაცვა
- ჯანდაცვა
- მედია



ქალთა უფლებები

ქალთა უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საია ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. პროექტის ძირითადი მიზანი იყო ოჯახში და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლთა ცნობიერების ამაღლება და სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში:

- საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით სამართლებრივი დახმარება გაენია 7000-მდე მსხვერპლს, 2500-მდე მათგანმა გაიარა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ხოლო პროფესიული განათლება მიიღო 71-მა ბენეფიციარმა.
- შემუშავდა მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა, რომელიც დაინერგა პრობაციის სააგენტოსა და 2 პენიტენციარულ დაწესებულებაში. წარმატებით განხორციელდა 6-თვიანი საპილოტე პროგრამა.
- მომზადდა 5 კვლევა: „ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკფაქტორები“, „გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სტანდარტები“, „შებლდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი ასპექტები“.

„ბავშვის მიმართ ძალადობა“, „ლბტ და სექსმუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში“.

კვლევებმა აჩვენა, რომ აუცილებელია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების გახშირების გამო, გადასახედია სისხლისსამართლებრივი სანქციების გამკაცრების საკითხი.
- დასახვეწია კანონმდებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხთან დაკავშირებით.
- აუცილებელია, შემუშავდეს მედიის მიერ სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკა.
- საჭიროა პედაგოგების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებისა და ფაქტზე რეაგირების მიმართულებით.
- მნიშვნელოვანია გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა ბუნების გამოკვლევა, მსხვერპლთა დაცვის ქმედითი მექანიზმების შექმნა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალებისა და გოგონებისთვის.



პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის ფაქტების გაცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან, ვინაიდან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ვერ ახერხებენ პოლიციისთვის დროულად მიმართვას ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.
- უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით აღებული ვალდებულებების შესახებ.
- პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების რეაბილიტაციის საკითხი. ფაქტობრივად, არ არსებობს მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ცენტრები.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები საჭიროებს დახვეწას.


5 წელია

საქართველოს პანონი **დისკრიმინაციის**

შესახებ

იცავს მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან

ნებისმიერი ნიშნით



**ჩა აკის დისკრიმინაცია
ვისთვისაა კანონი**

მოგვაკავშირებს **568 47 14 14**

www.equalitycoalition.ge

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

საია აქტიურად საქმიანობს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანასწორობის ხელშეწყობის გაძლიერების მიმართულებით, რაც გულისხმობს როგორც სტრატეგიულ სამართალწარმოებას, ისე თანასწორობის პოლიტიკის ადვოკატირებას. 2019 წლის იანვრიდან საია მეორე ვადით აირჩიეს „კოალიცია თანასწორობისთვის“ თავმჯდომარედ. კოალიციის ფარგლებში მომზადდა ორი ანგარიში: „დისკრიმინაციის დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“ და „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქმიანობის ანგარიში.

„კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის“ რიგით მეოთხე ანგარიში მოიცავს 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს და მასში საუბარია კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საქმეებზე, რომლებიც დაჯგუფებულია დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების მიხედვით. ანგარიში ასევე ეხება ქვეყანაში თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს. საანგარიშო პერიოდში საიამ დისკრიმინაციის 22 საქმეზე იმუშავა.

„დისკრიმინაციის დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“ რიგით მესამე ანგარიშია, რომელიც აღწერს 2018 წლის განმავლობაში 11 ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას დისკრიმინაციის კუთხით. აღსანიშნავია, რომ მოცემული ჯგუფების თანასწორობის უფლების გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი სისტემური პრობლემები:

- **ბავშვები.** ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის ანალიზი აჩვენებს, რომ გამრდილია ძალადობის ფაქტებზე შეტყობინება, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არაეფექტიანია. კვლავ გამომწვევად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობა, შრომითი ექსპლუატაცია და სიღარიბე.
- **შშმ პირები.** არ გაუმჯობესებულა შშმ პირთა მძიმე უფლებრივი მდგომარეობა, რის გამოც ისინი სისტემატურად ხდებიან დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლნი. შიდა კანონმდებლობაში ამ დრომდე არ მომხდარა არც „გონივრული მისადაგების“ ცნების და არც გონივრულ მისადაგებაზე უარის – როგორც დისკრიმინ-

რაც არსებითად ართულებს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისთვის თანასწორი პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნას.

- **უცხო ქვეყნის მოქალაქეები.** ცალკეული ორგანიზებული ჯგუფებისა და მოქალაქეების მიერ რასისტული და ქსენოფობიური ნიშნით გამოვლენილი აგრესიის გარდა, უცხოელებთან მიმართებით პრობლემურია სახელმწიფო პოლიტიკაც. უცხოელები საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებისას უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან, ხოლო ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარი ხშირად სამართლებრივად დაუსაბუთებელია.
- **საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი უმცირესობები.** კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში უმცირესობების წარმომადგენელთა მდგომარეობა, რომლებიც საკანონმდებლო ხარვეზებისა თუ მანკიერი პრაქტიკის გამო ხშირად უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან.
- **დევნილები.** სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური და ეფექტიანი მხარდაჭერის გარეშე რჩებიან დევნილებიც, რომელთა ნაწილს ამ დრომდე არ მიუღია უსაფრთხო, სათანადო საცხოვრებელი, ხოლო ცალკეულ დასახლებებში, სადაც სახელმწიფომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლება განახორციელა, მათთვის გადაცემული ფართები არ შეესაბამება სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა დისკრიმინაციული მოპყრობის ახალი სამიზნე ჯგუფი – უფლებადამცველები. საგანგაშო ტენდენციად იქცა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უფლებადამცველთა დისკრედიტაციის ხელშემწყობი განცხადებები და მათ მიმართ სამართლებრივი პროცედურების ინიცირება.

მართლმსაჯულება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

2011 წლიდან საია ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. საანგარიშო პერიოდში გამოიცა მონიტორინგის მე-13 ანგარიში, რომელმაც გააერთიანა საქართველოს მასშტაბით 5 სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვების შედეგები.

მონიტორინგმა გამოავლინა სხვადასხვა სახის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება, ერთი მხრივ, კანონმდებლობაში, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება რიგ შემთხვევებში მოსამართლის ფორმალური როლი ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. კერძოდ, როგორც წესი, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე არ ხდება დაკავების კანონიერების შემოწმ-



ება, სიმბოლურ ხასიათს ატარებს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვა, საპროცესო შეთანხმების სხდომაზე მოსამართლე უმეტესწილად არ ამოწმებს სასჯელის სამართლიანობასა და კანონიერებას. კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო სხდომების გაჭიანურების საკითხი, რაც ზიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, მის მიმართ ნდობას.

წლების განმავლობაში საია შესაბამის ორგანოებს მიმართავდა რეკომენდაციით, გაზრდილიყო მოსამართლის როლი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ წამების ან/და არა-ადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო განხორციელების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 191¹-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს უჩნდება უფლებამოსილება, ასეთ დროს შესაბამის საგამოძიებო უწყებას მიმართოს.

სასამართლო სხდომების მონიტორინგმა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა ასევე აჩვენა, რომ ხარვეზიანია და მოწესრიგებას საჭიროებს ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით არსებული კანონმდებლობა. საქმე ეხება ე.წ. ნუსხის განახლებას, სადაც განისაზღვრება ადეკვატური ოდენობები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად (ერთჯერადი მოხმარების ოდენობა, მცირე, დიდი, განსაკუთრებით დიდი ოდენობა). ასევე, აუცილებელია სასჯელების ნაწილის გადახედვა. ზემოაღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას.

სისხლის სამართლის პროცესი დღევანდელი მდგომარეობით შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს ან/და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპს. ამასთან, ბუნდოვანია ცალკეული დანაშაულების დისპოზიცია, რაც პროკურატურას ანიჭებს ფართო დისკრეციას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და ეწინააღმდეგება კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას.



საიას „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში“ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია გამოყენებული და მითითებული, როგორც სანდო ინფორმაციის წყარო საქართველოში ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები

საანგარიშო პერიოდში საიამ გამართა კვლევის პრეზენტაცია – „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, კვლევაში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობა. გარდა ამისა, ორგანიზაციამ შეისწავლა და შეაფასა სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მიდგომები, ასევე, მოძალადეებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები.

მსგავს საქმეებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა, კვლევამ ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაული და ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. ოჯახში ძალადობას ხშირად ახასიათებს განმეორებითობა, ზოგჯერ მსხვერპლები სამართალდამცავ უწყებებს დაგვიანებით მიმართავენ, ზოგჯერ კი, ჩვენებებს ცვლიან ან/და საერთოდ უარს ამბობენ მის მიცემაზე, რა დროსაც საგარეუდო მოძალადის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დგება. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი ჰქონდა დაგვიანებულ ან/და არასათანადო რეაგირებას.





ბარემო

კლასფორმა მწვანე საკითხების აღმოჩენისთვის

საანგარიშო პერიოდში საია განაგრძობდა მუშაობას გარემოსდაცვით საკითხებზე. ამ კუთხით ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემების ადვოკატირების მიზნით, საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (EMC და მწვანე ალტერნატივა) დააფუძნა „მწვანე პლატფორმა“, რომელშიც გაერთიანდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგის ექსპერტები, სამოქალაქო აქტივისტები და საქართველოს რეგიონების მაცხოვრებლები. პლატფორმის მიზანია გარემოსდაცვით საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და ამ პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

პლატფორმის ფარგლებში ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა დაცულ ტერიტორიებსა და ენერგეტიკის სექტორში არსებულ გამოწვევებზე.

საიამ, პარტნიორებთან ერთად, მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, არ დაუშვას დაცული სისტემის კანონმდებლობის გაუარესება, უარი თქვას საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლითაც დასაშვები გახდება დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა. აგრეთვე, მოუწოდა მთავრობას, შეასრულოს ენერგეტიკის სექტორში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, კერძოდ, უზრუნველყოს ყველა ჰიდროენერგეტიკული პროექტის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, გზმ-ს პროცესის გამჭვირვალობა და გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, გააუმჯობესოს საქართველოს მიერ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი, ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის ათვისებას და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით, 2019 წლის იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდში განახორციელა პროექტი „საზოგადოებაზე ორიენტირებული განვითარების ხელშეწყობა მაკალაშიან რეგიონებში“. პროექტის სამოქმედო არეალი იყო რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორია. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივ დახმარებას, ტრენინგების ჩატარებას, საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების მომზადებას, მწვანე ადვოკატირების პლატფორმის შექმნას და კვლევის განხორციელებას დაგეგმილ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით.

საიას ადამიანის უფლებების პროგრამისა და „მწვანე პლატფორმის“ ფარგლებში:

1. გაიმართა სამუშაო შეხვედრები გარემოს დაცვის საკითხებზე.
2. ჩატარდა 3 ტრენინგი უძრავი ქონების რეგისტრაციასა და ონის ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებულ თემებზე.
3. მომზადდა 2 საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომლებიც სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში არსებულ გარემოსდაცვით გამონწვევებსა და ადგილობრივთათვის მნიშვნელოვან სხვა პრობლემებს შეეხება.
4. მომზადდა კვლევა – „ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული გამონწვევები.“

ქვეყნის წინაშე არსებული გარემოსდაცვითი გამონწვევებიდან გამომდინარე, საიამ მოამზადა კვლევა, რომელიც მოიცავს მდინარე რიონზე ონის ჰესების კასკადისა და ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტებს და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს სამართლებრივი, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების კუთხით.

აღნიშნული პროექტების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სახეზეა არაერთი პროცედურული შეუსაბამობა და შინაარსობრივი პრობლემა. გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ არჩეული პოლიტიკა არ შეესაბამება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას (განსაკუთრებით, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით), არამედ, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების შინაარსი, მისი მომზადების პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

პროექტის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ აუცილებელია მუდმივი კავშირი სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ინფორმირებისა და ადვოკატირების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. სასურველია ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებთან დაკავშირებით.

ამასთან, საჭიროა, გამოინახოს რესურსი მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, რათა სამომავლოდ ნაკლებად მოწყვლადები იყვნენ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების (ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის) განმახორციელებელი კომპანიების მიმართ. გარდა ამისა, აუცილებელია, მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამგვარი აქტივობების მდგრადობის უზრუნველყოფა.

ჯანდაცვა

სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი ერთ-ერთ ურთულეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის. ბოლო წლებში შესამჩნევად გაიზარდა იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებსაც არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად მიაღვათ ზიანი და ვერ ხერხდება ვერც ეფექტური გამოძიების ჩატარება და ვერც მიყენებული ზიანის ადეკვატური და დროული ანაზღაურება.



ასეთ შემთხვევებზე გამოძიება წლობით გრძელდება და ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

საანგარიშო პერიოდში საია მუშაობდა კვლევაზე – „სამედიცინო ექსპერტიზაში ექიმ-სპეციალისტთა მონაწილეობის პრობლემური საკითხები“. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილებაა, გააკონტროლოს სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი, ასევე – სამედიცინო დაწესებულებების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება. თუმცა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო დამრღვევი ექიმების მიმართ არ იყენებს პროპორციულ და ადეკვატურ სანქციებს, ასევე, გამოიკვეთა ამ სფეროში არსებული სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, კერძოდ: მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების არაგონივრული ვადით გაჭიანურებას; რესერტიფიცირება და კვალიფიკაციის დადასტურება, უწყვეტი სამედიცინო განათლების კონტექსტში, არ არის სავალდებულო ყველა პროფილის ექიმისთვის; სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი რეგულაციებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის გამო, მართლმსაჯულების განხორციელება ხშირად სამედიცინო მუშაკთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული (როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეების განხილვისას); სამედიცინო ექსპერტიზაში შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობა ნებაყოფლობითა და სამინისტროს მიერ დადგენილი ექიმ-სპეციალისტების ნუსხის არასავალდებულო ხასიათი აფერხებს მათში ჩართულ ექიმთა მიერ დასკვნის მომზადების დავალდებულების პროცესს. შესაბამისად, არაგონივრული ვადით ჭიანურდება სასამართლო განხილვა, რაც, შეიძლება, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად ჩაითვალოს.



მედია

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული მედიის სფეროში მიმდინარე პროცესებში: გასცემდა კონსულტაციებს ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად, ამზადებდა სამართლებრივ დოკუმენტებს, იცავდა მედიაორგანიზაციებისა და მისი წარმომადგენლების ინტერესებს სასამართლოში, აკეთებდა საჯარო განცხადებებს მათ მხარდასაჭერად, გამოეხმაურა და შეაფასა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აჭარის ტელევიზიისა და ტელეკომპანია „პირველის“ გარშემო განვითარებული მოვლენები.

საანგარიშო პერიოდში საია ახორციელებდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგს.

2019 წლის იანვრიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გახდა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ კოორდინატორი. აღნიშნული კოალიცია აერთიანებს მედიასაკითხებზე მომუშავე 11 არასამთავრობო ორგანიზაციას. კოალიციის ფარგლებში მომზადდა და პარლამენტს წარედგინა შენიშვნები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს გამოხატვის თავისუფლების ის სტანდარტი, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში, დაიწყოს მუშაობა მედიის თვითრეგულირების ორგანოების გაძლიერებისთვის და არ მიეცეს შინაარსობრივი საკითხების განხილვის შესაძლებლობა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

აუცილებელია, დროულად, სრულყოფილად და ჯეროვნად იყოს გამოძიებული მედიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული დანაშაული და გამოძიების დაწყება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდეს.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვება. აუცილებელია, სახელმწიფომ მიიღოს საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონი.

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ინსტრუმენტად იქცევა პოლიტიკური და კლანური დაჯგუფებების ხელში. ასეთ პირობებში საჯარო სიკეთე მათ კეთილდღეობას ხმარდება, სხვა მოქალაქეების ინტერესები კი უგულვებელყოფილია. საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია იმგვარ რეფორმებზე მუშაობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური, კონსენსუსზე ორიენტირებული პოლიტიკური გარემოს შექმნას, მყარ ნიადაგს მოამზადებს გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, რათა საქართველოში რეალური, ხალხის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა დაფუძნდეს.

პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესება
- მართლმსაჯულების რეფორმა
- საჯარო მმართველობის რეფორმა (გამჭვირვალობა, საჯარო ფინანსების მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობა)
- არჩევნები

საპარლამენტო კონსროლი

2017-2018 წლების საკონსტიტუციო და 2018 წლის რეგლამენტის რეფორმებმა პოლიტიკურ დღის წესრიგში საპარლამენტო კონტროლის საჭიროება კიდევ უფრო გამოკვეთა. საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის პროცესში საკანონმდებლო ორგანოს ეს ფუნქცია კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. უმაღლეს დონეზე დემოკრატიული პროცესები ქვეყანაში სწორედ ამ მექანიზმების გამოყენებით უნდა წარიმართოს.

საია ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია ამზადებს კვლევების სერიას, რომელშიც გაანალიზდება ზემოაღნიშნული რეფორმების შედეგები, გამოიკვეთება მიღწევები და გამოწვევები და, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

საბოლოო პროდუქტის შექმნამდე საიას ვებგვერდზე იდება ბლოგპოსტები, რომლებშიც კვლევის პირველადი მონაცემებია წარმოდგენილი. მომზადდა და გამოქვეყნდა 3 ბლოგი – ინტერპელაციის, დეპუტატის კითხვის და პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მექანიზმების შესახებ.

მართლმსაჯულების რეფორმა

2018 წლის ბოლოს მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ნატურალისტურად აღწერა ის სავალალო რეალობა, რომელიც საქართველოში ამ მიმართულებით არსებობს. უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების შესახებ მოსამართლეთა გავლენიანი ჭკუფის („კლანი“) მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებულმა ხედვამ ამ უკანასკნელის სამართლიანი აღმფოთება გამოიწვია. საია მიიჩნევს, რომ დღეს სასამართლო ელიტურ მოსამართლეთა ჭკუფს აქვს პრივატიზებული, რომელმაც ეს ინსტიტუტი საკუთარი ინტერესების მსა-

ხურად აქცია. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო კლანის გადადგომის მოთხოვნით დაწყებულ საპროტესტო მოძრაობაში - აქციების ორგანიზებაში, პეტიციების მომზადებასა და სხვა საჯარო აქტივობებში.



არასამთავრობო ორგანიზაციების აქცია პარლამენტში - „კლანი უნდა წავიდეს“

ამავე მიმართულებით, საია კოალიციის („დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“) მმართველი კომიტეტის წევრის მანდატით მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების წესის რეფორმაში, ამჯერად კი, მისი იმპლემენტაციის მონიტორინგს ახორციელებს. კოალიციამ 2018 წლის დეკემბერში განვითარებული მოვლენებიდან მალევე საზოგადოებას მესამე ინსტანციის მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის შესახებ წინადადებები შესთავაზა, ამასთან, ჩაერთო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ სამუშაო ფორმატში, სადაც სწორედ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცედურები განიხილებოდა (თუმცა, მოგვიანებით, პრინციპული მოსაზრებების გამო დატოვა იგი), ასევე, გამოაქვეყნა რამდენიმე შეფასება როგორც კანონპროექტის, ისე მისი დანერგვის თაობაზე.

საია, 2012 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას და აქვეყნებს მონიტორინგის შედეგებს. 2019 წელს გამოიცა მე-7 ანგარიში (საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან ერთად). დოკუმენტის მიხედვით, „კლანი“, ფლობს რა საბჭოში ხმების 2/3-ს, სამი ინსტრუმენტით – მოსამართლეთა დანიშვნით, სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობით – აკონტროლებს სასამართლო სისტემას. პარალელურად, საბჭოში მწვავედ დგას პლურალიზმის და კრიტიკული აზრის მიუღებლობის პრობლემა, რაც ხელს უშლის სხდომებზე საგნობრივ მსჯელობას და გადაწყვეტილებების დასაბუთებას. საბჭომ ვერ უზრუნველყო სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ სათანადოდ დანერგვა. ამ ნოვაციამ არსებითად ვერ აღმოფხვრა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები, მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში თავად შეიტანა წვლილი მათ გაღრმავებაში.

საია აგრძელებს მონიტორინგს, რომლის მომდევნო შედეგებსაც 2020 წელს გამოაქვეყნებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, მუშაობს კვლევაზე, რომლის მიზანია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის, ანგარიშვალდებულებისა და თანამდებობიდან გადაყენების წესების, უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობისა და ფუნქციების





შესწავლა, რეკომენდაციების შემუშავება. განსაკუთრებული ყურადღება კვლევაში დაეთმო უზენაესი სასამართლოს პლენუმის როლს და მის უფლებამოსილებას. კვლევის შედეგები 2020 წლის ანგარიშში შევა.

საია გემოაღნიშნულ აქტივობებს ახორციელებს პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ – ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მხარდაჭერით.

საჯარო მმართველობა (გამჭვირვალობა, საჯარო უინანსებო მართვა, კლვილობრივი თვითმმართველობა)

საჯარო დაწესებულებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისთვის. დემოკრატიული საზოგადოებრივი კონტროლი სწორედ მონაცემთა შეგროვებიდან იწყება. ეს ეხება როგორც საჯარო ფინანსების მართვას, ისე, ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას. მონიტორინგი წარმოაჩენს არა მხოლოდ კანონიერების პრობლემებს სახელმწიფო ორგანოებში, არამედ მათი საქმიანობის (რომელიც საჯარო სიკეთეების განკარგვაში გამოიხატება) თანხვედრას საზოგადოების საჭიროებებთან.

ამ მიმართულებით საიამ ორი პროექტი განახორციელა.

პირველი – „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში“ – საიასა და „ტფილისის ჰამქრის“ ერთობლივი პროექტი (რომელსაც მხარს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ACCESS უჭერდა).

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა 2 კვლევა:

1. „თბილისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის შეფასება“ (ავტორი – „ტფილისის ჰამქარი“). შეფასდა გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნებზე თბილისის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოები. კვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ სამუშაოები რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საერთაშორისო სტა-

ნდართებთან შეუსაბამოდ მიმდინარეობდა. „ტფილისის ჰიმქარმა“ კვლევის ფარგლებში შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

ფუნქციური ზონის ცვლილებაზე განმარტების არსებული განაშენიანების შესაბამის ცვლილება:

(ფუნქციის უზრუნველყოფის არსებული საკადასტრო ერთეულები ეკუთვნოდა სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს, ხოლო ვიკუას ქ. N3-ში მდებარე სკვერი კი რეკონსტრუირებულ ზონა 2-ს. კრონთაში არაქონის მფლობელის მოთხოვნით, მოხდა ზონების ცვლილება და ყველა ნაკვეთი საზოგადოებრივი საქმიანი ზონის ფარგლებში მოქცეა)

შენიშნულია 80%-ზე მეტი საცხოვრებელი ნაგებობები გაიწვია არასრული საკრონის დოკუმენტაციის საფუძველზე

10 შენობაზე საცხოვრებელი სახეობის საკრონის დოკუმენტაციის შეთანხმების და ნაგებობის გარეშე იქნა დაწყებული. აქედან **5** შენობაზე აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

ნაგებობები

ვიკუას ქ. N3-ში მდებარე სკვერისთვის, ყოფილი რეკონსტრუირებული ზონისთვის - K2 მასშტაბი 1,7;
 (აღნიშნული ცვლილება საბაზის და შერის თანხმობით განხორციელდა, რაზეც მნიშვნელოვნად უკვე შეცვალა არსებული გარემო, ძველთან შედარებით გაიზარდა შენობა-ნაგებობების და სიმაღლე, რაც თავისთავად განიშნავს განაშენიანების შესაბამის ცვლილებას, რაც ქალაქის ისტორიულ ნაწილში ყოველგვარ დაუშვებელია)



შესაბამისად მოხდა კოორდინირებული K2-ის გაზრდა:

- ფუნქციის ქ. N2, K2 გაიზარდა 1,1-დან **2,5** -მდე;
- ფუნქციის ქ. N3, აგებული ცარიელ ნაკვეთისთვის K2 განიხილვრა **4,6**;
- ფუნქციის ქ. N3/18 ათონელის ქ. - K2 გაიზარდა 2,4 -დან **3,4** -მდე;
- ფუნქციის ქ. N18/5 ხანძრის ქ. - K2 გაიზარდა 1,5 -დან **1,8** -მდე;

K2 კოორდინირებული გაზრდა გულისხმობს შენობის გაზრდის ზრდას, კერძოდ დადგენილ ნორმებზე მაღალი შენობის აშენებას.

თბილისის განვითარების ფონდის მიერ
განხორციელებული შესყიდვები
შესყიდვის ტიპის მიხედვით (ღირებულება)



გამართივები შეყიდვების დროს მაღალი იყო რისკი კორუფციული ბარიერების, რადგან ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა ერთ კირთან მოლაპარაკების გზით და არაკონკურენტულ გარემოში.

USAID | GEORGIA

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო



2. „თბილისის განვითარების ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება“ (ავტორი – საია). მასში გაანალიზებულია ფონდის საქმიანობა, საბიუჯეტო სახსრების განკარგვის საკითხები, ორგანიზაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების სტანდარტები. კვლევის ფარგლებში საიამ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

პროექტის ფარგლებში ასევე გაიმართა საინფორმაციო კამპანიები და ფესტივალი „გუდიაშვილი გელოდება“, რომლის მიზანი იყო თბილისის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ინფორმირება.



მეორე პროექტის მიხედვით – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (USAID-ის დემოკრატიული ინიციატივის მხარდაჭერით (GGI)) თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგიას, სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის ჩარჩოებს ქმნის. პროექტი მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს და თვითმმართველობაში გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდას, ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში (OGP) აღებული ვალდებულებების შესრულებას ემსახურება. შედეგად, შეიქმნება სამი დოკუმენტი – სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო, რომელთა დამტკიცებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი თბილისის მერია იქნება.

საიამ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოაქვეყნა კიდევ ერთი კვლევა – „საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის შეფასება სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატში“. **კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორცაა:** სამინისტროებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პირების უკონკურსოდ დანიშვნის ზრდის ტენდენცია, პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემის დაგვიანებით ამოქმედება და საჯარო მოხელეებს შორის შეფასების შედეგების არაპროპორციული გადანაწილება, რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების სხვა სამინისტროებში მობილობის დაბალი მაჩვენებელი და სამინისტროების მიერ გათავისუფლებული საჯარო მოხელეებისთვის გადახდილი კომპენსაციის დიდი ოდენობა.

არჩევნები

პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩართულობის პირველადი და მძლავრი ინსტრუმენტი არჩევნებია. იმისათვის, რომ ხალხის ნება ადეკვატურად აისახოს სახელმწიფო ორგანოების დაკომპლექტების დროს, სამართლიან საარჩევნო სისტემასთან ერთად, საჭიროა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია აქტიურად ჩაერთო კონსტიტუციური ცვლილებების განხილვის პროცესში, რომელიც 2020 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით (ბუნებრივი ბარიერით) ჩატარებას ითვალისწინებს. ორგანიზაციამ გამოხატა თავისი პოზიტიური პოზიცია ამ სიახლესთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო საერთო-სახალხო განხილვებში მთელი საქართველოს მასშტაბით.

საანგარიშო პერიოდში საია ტრადიციულად აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესს და ამ მიმართულებით 2 ანგარიში მოამზადა.



პირველი ანგარიში შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნებს. მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს, ბრიტანეთის საელჩოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ორგანიზაციამ საარჩევნო გარემოზე დაკვირვება 2018 წლის 1-ლი აგვისტოდან დაიწყო და დააკვირდა როგორც წინასაარჩევნო პერიოდს, ისე კენჭისყრის დღეს და, შემდგომ, შედეგების შეჯამებისა და საჩივრების განხილვის პროცესს.

მეორე ანგარიში 2019 წლის 19 მაისის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებს მიმოიხილავს. დოკუმენტი მოიცავს **20 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით** პერიოდს. 19 მაისის არჩევნების მონიტორინგის მისიას „ღია საზოგადოების ფონდი“ აფინანსებდა.

ორივე ანგარიშში გაანალიზებულია წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის შედეგები, ასევე, ამ პროცესში ჩართული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა. დოკუმენტები მოიცავს როგორც პირველ, ისე მეორე ტურებზე დაკვირვების შედეგებს. წარმოდგენილია ძირითადი ტენდენციები და კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც, ორგანიზაციის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

ანგარიშების გამოცემამდე საია საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას უზრუნველყოფდა საჯარო განცხადებებით, პრესკონფერენციებითა და საინფორმაციო ბიულეტენებით.

ამჟამად საია ახორციელებს პროექტს – „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო-პოლიტიკური პროცესების ადვოკატირებას.


ამ მიმართულებით ორგანიზაციის საქმიანობა დაეფუძნება ანალიზს და მიმართული იქნება საარჩევნო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შეცვლისკენ. აღნიშნული სტრატეგიის ინოვაციური იარაღი პოლიტიკური თანასწორობის ინდექსია (Political Equality Index, PEI), რომლის მიზანიც სხვადასხვა, მათ შორის, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების საარჩევნო-პოლიტიკური თანასწორობის ხარისხის გაზომვაა. ინდექსი აჩვენებს, რამდენად მჭიდრო კავშირია პოლიტიკურ პროგრამებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების საჭიროებებს შორის. პროექტს აფინანსებს USAID.

სამართლებრივი დახმარება



საია ყოველწლიურად ათასობით ადამიანს უწევს იურიდიულ კონსულტაციას უფასოდ და ასე-
ულობით მათგანს იცავს სტრატეგიულ საქმეებზე როგორც საერთო სასამართლოებში, ისე
საკონსტიტუციო სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე. გარდა ამისა,
ორგანიზაცია დარღვეული უფლებების აღსადგენად იყენებს საერთაშორისო მექანიზმებს.


საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 35 000-ზე მეტ პირს.



გაწეული კონსულტაციების ტიპები და მომზადებული დოკუმენტების რაოდენობა ორგანიზაციის მიხედვით

საიას ორგანიზაცია	თბილისის ოფისი	ქუთაისის უილიჯი	აჭარის უილიჯი	გორის ოფისი	თელავის ოფისი	ღუშეთის ოფისი	რუსთავის ოფისი	ოპოზიციის ოფისი	ზუგდიდის ოფისი	
კონსულტაციის ტიპი										
პირადი	4478	4462	1246	3439	2821	708	1597	2007	1955	
საბელაშორო	5486	832	35	208	243	154	102	343	187	
ონლაინ	490	52	7	1				3	66	
სამართლებრივი დოკუმენტი	667	615	999	976	206	76	201	218	277	
ფერილოგითი	38		1				15			
სულ						35 211				

ამჟამად საია საადვოკატო დახმარებას ახორციელებს 440 საქმეზე:



მოგებულ საქმეები ეროვნულ სასამართლოებში

საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ ეროვნულ დონეზე წარმატებით დაასრულა სულ 125 საქმე. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

■ პაციენტის უფლებები


საიას დახმარებით, პაციენტმა სასამართლოში დავა მოუგო სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება საიას ბენეფიციარის სასარგებლოდ. პაციენტი დავობდა, რომ სამედიცინო დაწესებულებამ კატარაქტის ოპერაციის მსვლელობისას, მასთან და მისი ოჯახის წევრებთან შეუთანხმებლად, შეცვალა დაგეგმილი ოპერაციის მეთოდი და გამოიყენა ისეთი ტიპის ლინზა, რომელიც წინასწარ განხილული არ ყოფილა.

საიას ადვოკატი სასამართლოში აცხადებდა, რომ ოპერაციული მეთოდისა თუ ოპერაციის პროცესში გამოსაყენებელი სამედიცინო საშუალებების შეცვლისას, საჭირო იყო პაციენტის წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა. სასამართლომ გაიზიარა არგუმენტი, რომ სამედიცინო დაწესებულების მხრიდან პაციენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა ამ უკანასკნელისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა იმის მიუხედავად, თუ როგორი შედეგით დასრულდა ოპერაცია.

■ სექსუალური შევიწროება

- საია იცავდა ქალს, რომელმაც ზვიად დევდარიანი სექსუალურ შევიწროებაში ამხილა და სახალხო დამცველს სექსუალური შევიწროების დადგენის მიზნით მიმართა. სახალხო დამცველმა დაადგინა სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და გამოსცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელშიც განმარტა, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისთვის არ არის აუცილებელი მოტივის არსებობა, არამედ, სექსუალური ხასიათის ქცევა, თავისთავად, შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად.

სახალხო დამცველი დაეყრდნო სტანდარტს, რომლის თანახმად, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა, რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისთვის (*ought to have known*). სახალხო დამცველმა ასევე გამოიყენა გონივრული აღქმის სტა-



ნდარტი (*reasonable woman standard*), რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს. აღნიშნული სტანდარტი სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად მგრძობიარე მიდგომას.

- საია იცავდა ქალს, რომელიც ერთ-ერთ ორგანიზაციაში სტაჟირების გავლის პერიოდში ღირეფტორის/ადვოკატის მხრიდან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. საიას დახმარებით, მან სექსუალური შევიწროების დადგენის მიზნით სახალხო დამცველს 2018 წლის აპრილში მიმართა. მსხვერპლმა წარდგინო საჩივარში ასევე მიუთითა, რომ მომხდარის შესახებ შეატყობინა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, თუმცა, მან აღნიშნული ფაქტი რეაგირების გარეშე დატოვა.

2019 წლის 16 ოქტომბერს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სექსუალური შევიწროებით გამოხატულ სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. რეკომენდაციის მიღებისას სახალხო დამცველი დაეყრდნო მხარეთა გამოკითხვის შედეგებსა და სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებს, მათ შორის, მესამე პირებისგან მიღებულ ინფორმაციას და აუდიოჩანაწერებს. საბოლოოდ, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ პროფესიული მდგომარეობის გამოყენებით, მსხვერპლის მიმართ ადგილი ჰქონდა *არასასურველ, სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხყოფელი გარემო.*

სახალხო დამცველმა ფიზიკურ პირს, რომელმაც მსხვერპლი სექსუალურად შეავიწროვა, მიმართა რეკომენდაციით, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში არ განახორციელოს მსგავსი ქმედებები და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხყოფელი, დამამცირებელი, მათი ღირსებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემო.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა დამსაქმებელ ორგანიზაციასაც, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში, უზრუნველყოს მათი შესრულება და გაატაროს ღონისძიებები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

■ ზიანის ანაზღაურება

საია იცავდა პირს, რომლის შვილი სახლში გაზის აფეთქების შედეგად გარდაიცვალა. გარდაცვალება გამონვეული იყო შპს „ყაბტრანსგაზ თბილისის“ (ამჟამად „თბილისი ენერჯი“) საკუთრებაში არსებული მიწების გაუმართაობის გამო გაჟონილი გაზის აფეთქებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ყაბტრანსგაზ თბილისს“ დაეკისრა სარჩოს გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მოსარჩელე ამ დროისთვის არის პენსიონერი, რომელსაც, სახელმწიფო პენსიის გარდა, სხვა მუდმივი შემოსავალი არ გააჩნია.



მოგებულ საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში 3 საქმე მოიგო:

■ გ.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 14 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის ის სიტყვები, რომლებიც კრძალავდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეებზე პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრებას.

საია იცავდა მოსარჩელე გ.გ-ს ინტერესებს და მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რამდენადაც პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს გზით გაესაჩივრებინა უფლებამზღვეველი აქტი – პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

■ ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2019 წლის 18 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას კიდეც ერთი სარჩელი, რომელიც ორგანიზაციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის დაჩქარების მიზნით შეიტანა. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, შესაძლებელი გახდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამა-

რთლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასაჩივრების ვადა აითვლებოდა მისი გამოცხადების დღიდან, რაც ადამიანებს უფლებების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას უზღუდავდა.

■ ბესიკ ქათამაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2019 წლის 4 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც კრძალავდა შენობაზე საპროტესტო პლაკატის ან ბანერის დროებით განთავსებას მერიის თანხმობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მესაკუთრეს ართმევდა უფლებას, საკუთარი სახლის ფასადზე დროებით განეთავსებინა ბანერი მერიის თანხმობის გარეშე. სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია შენობაზე საპროტესტო ბანერის განთავსების გამო იმ პირის დასჯა, რომელიც ამას შენობის მესაკუთრის თანხმობით აკეთებს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა.

მოგებული საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმატებით დაასრულა 4 საქმე:



■ მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი #44973/09)

2018 წლის 20 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე – **მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ**, რომლითაც დადგენილად მიიჩნია საქართველოს მხრიდან კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა.

გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ სასჯელალსრულების №2 დაწესებულების პატიმარი გიორგი ტოროშელიძე, რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ უზრუნველყო დროული და ადეკვატური მკურნალობით, რამაც, საბოლოოდ, მისი სიკვდილი გამოიწვია. მართალია, ტოროშელიძის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, თუმცა, გამოძიების ფარგლებში შესაბამისმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი ხარვეზები დაუშვეს. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, წარმოებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მომჩივნის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 15000 ევროს ოდენობით. ევროპულ სასამართლოში მომჩივნის ინტერესებს საია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) წარმოადგენდნენ.

■ ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (საჩივარი #16369/07) – ე.წ. დეპორტირებულების საქმე

2019 წლის 26 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საიას წარმოებაში არსებული ინდივიდუალური საჩივრის – **ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ** – ფარგლებში რუსეთის ფედერაციას 2006 წელს რუსეთიდან კოლექტიური გამოძევების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

საიას დაცვის ქვეშ მყოფმა პირებმა ინდივიდუალური საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში ჯერ კიდევ 2007 წელს გაგზავნეს. ევროპულმა სასამართლომ, 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მომჩივნების საჩივარი დააკმაყოფილა. სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის ოქტომბერში საქართველოს მოქალაქეები გახდნენ დაკავების, დაპატიმრებისა და გამოძევების ადმინისტრაციული პრაქტიკის მსხვერპლნი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რა დროსაც შეილახა მათი ფუნდამენტური უფლებები კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-4 ოქმის მე-4 მუხლის (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ.

მომჩივანთა მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების საკითხი ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორის საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2019 წლის 26 მარტს განიხილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას მომჩივნების სასარგებლოდ გამოძევების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა. კომპენსაციის ოდენობა განსხვავდება თითოეულ მომჩივანთან დაკავშირებით, მათ მიმართ ჩადენილი დარღვევის არსის, მათ შორის, დაკავების ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ევროპულ სასამართლოში მომჩივნების ინტერესებს საია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) წარმოადგენენ.

■ ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი #40009/12)

2019 წლის 7 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საიას წარმოებაში არსებულ საქმეზე – ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ – მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლის დარღვევა დაადგინა.

გადაწყვეტილების თანახმად, ე.წ. ყინწვისის სპეცოპერაციის დროს დაკავებულმა ნიკოლოზ გოგუაძემ ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ყოფნის დროს მიიღო მრავლობითი დაზიანება, რომელიც მას დაკავებამდე არ ჰქონდა. შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მომჩივანი სამართალდამცავი პირების მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, მომჩივნის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე 2011 წლის ივნისში დაიწყო გამოძიება, რომელიც 8 წლის შემდეგ კვლავაც გრძელდებოდა და რამდენიმეწლიანი სრული უმოქმედობით ხასიათდებოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ შემთხვევის ეფექტიანი და დროული გამოძიება. ევროპულმა სასამართლომ, მომჩივნისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს 10000 ევროს გადახდა დააკისრა.

■ ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი #50375/07)

2019 წლის 18 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე – ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ, რომლითაც დაადგინა სახელმწიფოს მხრიდან ზურაბ ვაზაგაშვილის სიცოცხლის უფლების დარღვევა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მოთხოვნების საწინააღმდეგოდ.

გადაწყვეტილების თანახმად, საქმის მასალებით ცხადად დასტურდებოდა, რომ კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს პოლიციელები ოფიციალური სტატუსით მოქმედებდნენ, შესაბამისად, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა სახელმწიფოს შეერაცხებოდა. ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე სახელმწიფომ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება. მართალია, 2012 წელს განახლებული გამოძიების ფარგლებში 5 პირი მიეცა პასუხისგებაში, თუმცა, ვაზაგაშვილის მკვლელობის აღიარება დაგვიანებით – ფაქტიდან 9 წლის შემდეგ – სასამართლომ გაჭიანურებულ სამართალს გაუტოლა. მომჩივნისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს 50000 ევროს გადახდა დაეკისრა. ევროპულ სასამართლოში მომჩივნის ინტერესებს საია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) წარმოადგენენ.

ჟურნალისტებისთვის გაწეული დახმარება

საანგარიშო პერიოდში, პროექტის – „მედია გარემოს განვითარება საქართველოში“ – ფარგლებში, საია განაგრძობდა მედიის წარმომადგენელთა სამართლებრივ დახმარებას. ორგანიზაციის ადვოკატებმა ჟურნალისტებს გაუწიეს 77 უფასო კონსულტაცია, მოუმზადეს 19 სამართლებრივი დოკუმენტი. გარდა ამისა, საია აწარმოებს ჟურნალისტთა 15 საქმეს. საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა 3 საქმე.



სამეგრელო-ჯემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდში საიამ განახორციელა პროექტი – „საზოგადოებაზე ორიენტირებული განვითარების ხელშეწყობა მაღალმთიან რეგიონებში“. პროექტის ერთ-ერთ ამოცანას ზემოხსენებულ რეგიონებში მცხოვრები პირების უფასო სამართლებრივი დახმარება წარმოადგენდა. ამ მიზნით, ორგანიზაციამ განახორციელა 20 გასვლითი ვიზიტი, რომლის დროსაც სამართლებრივი დახმარება გაენია 228 პირს. ამასთან, საიამ მუშაობა დაიწყო 8 საადვოკატო საქმეზე.





წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

2018 წლის თებერვლიდან საია, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან (GCRT) ერთად, ახორციელებს პროექტს – წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში.

პროექტის ფარგლებში საია სამართლებრივ დახმარებას უწევს იმ პირებს, რომლებიც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ დაკავების დროს, პენიტენციურ დაწესებულებებსა ან წინასწარი დაკავების იზოლაციურებში სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან, ასევე, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ან შემდგომ, პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში.

საანგარიშო პერიოდში საია განაგრძობდა მუშაობას წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე. ორგანიზაციამ პროექტის ფარგლებში გამოსცა ანგარიში – „არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე“. ანგარიშში გაანალიზებულია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ის საქმეები, რომელთა იდენტიფიცირებაც საიამ 2017-2018 წლებში მოახდინა, ასევე, განხილულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც არსებითად ხელს უშლის არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე ეფექტურ რეაგირებასა და მათ პრევენციას.

20-21 ივნისის მოვლენები

20-21 ივნისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქ. თბილისში მიმდინარე აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის განხორციელებაც აქციის მონაწილეების (მათ შორის, მშვიდობიანი შეკრების უფლებით მოსარგებლე პირების), ჟურნალისტების და მოვლენების ეპიცენტრში შემთხვევით აღმოჩენილი ადამიანების უფლებების მასშტაბურ დარღვევაში გადაიზარდა.

აქციის დაშლის პარალელურად, შსს-ს წარმომადგენლებმა დაიწყეს აქციის მონაწილეთა მასობრივი დაკავება. მათი უფლებების დასაცავად, საიამ აამოქმედა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც აგროვებდა ინფორმაციას და სამართლებრივად ეხმარებოდა დაკავებულთა ახლობლებს. საიამ საადვოკატო დახმარება გაუწია 76 პირს, რომლებიც 20-21 ივნისის პოლიციელებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ბრალდებით დააკავეს. ორგანიზაცია ასევე ჩაერთო აქციის დროს დაშავებული პირების, მათ შორის, ჟურნალისტების საქმეებში. ამ დროისთვის საია 26 დაზარალებულს უწევს სამართლებრივ დახმარებას.

ფოტოგაბი: ლევი გლაჟონრაჟოვა



■ „დაკარგული თვალის მიღმა“

20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასების მიზნით, საიამ მოამზადა ანგარიში „დაკარგული თვალის მიღმა – 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება“. გაანალიზდა უფლებათა დარღვევის სისტემური და ინდივიდუალური შემთხვევები, რომელთა იდენტიფიცირებაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეძლო. ანგარიშში შეფასებულია: 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა და პროპორციულობა; არასათანადო მოპყრობის ფაქტები; ჟურნალისტთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალის გამამეტებისა და ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ჩარევის შემთხვევები. ასევე, გაანალიზებულია 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სასამართლო სისტემაში სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პრაქტიკა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა

საქართველო ინარჩუნებს 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც არაკონსტიტუციურია და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს. 20-21 ივნისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს სახელმწიფო მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაუსაბუთებლად შეზღუდვის ინსტრუმენტად იყენებს. არსებული კანონმდებლობის პირობებში, სამართალდარღვევის საქმეებზე არ არის უზრუნველყოფილი მიუკერძოებელი და სამართლიანი განხილვის პროცესი, რაც, ადმინისტრაციული წესით დაკავების მომენტიდან ბოლო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ჩათვლით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის საფუძველი ხდება. მათ შორის, არსებობს რისკი, რომ დაკავებული პირები არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარონ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაცვლელად და რეფორმის დასაჩქარებლად, საია აგრძელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას. ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოში – 4, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 1 საქმის განხილვა გრძელდება. საანგარიშო პერიოდში საიამ წარმატებით დაასრულა 3 საქმე, რამაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ამათგან ორ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულებისთვის, საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა 2019 წლის ივნისში 2 კანონპროექტის ინიცირება განახორციელა, რომლებიც ამ დროისთვის უკვე მეორე მოსმენით განხილვება.

საია კვლავ განაგრძობს ცნობიერების ამაღლების კამპანიას და ადვოკატირებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.



საქართველოს სიჭუაცის გამოძიება ჰააგის სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად აგრძელებდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში და მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების ადვოკატირებას.

ამ მიზნით საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად გამოსცა ანგარიში „10 წელი აგვისტოს ომიდან – დაზარალებულთა მდგომარეობა საქართველოში“, რომელიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, ასევე, განსახლების ადგილზე მათ ამჟამინდელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და საჭიროებებს ასახავს. ანგარიშში საუბარია აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით 2016 წლის იანვარში დაწყებულ გამოძიებაზე, მის მიმდინარეობასა და დღეს არსებულ გამოწვევებზე.

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში პრობლემას წარმოადგენდა: დაზარალებულთა და საზოგადოებას შორის ინფორმაციის ნაკლებობა სასამართლოს საქმიანობის, მანდატის და გამოძიების პროგრესის შესახებ; გაზვიადებული/არასწორი მოლოდინები არსებულ პროცესთან მიმართებით; რუსეთის ფედერაციის უარი სასამართლოსთან თანამშ-

რომლობაზე; სასამართლოს ადგილობრივი ოფისის ფინანსური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა; დაზარალებულთა მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა და სხვა.

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებით და სასამართლოს პროკურორის ოფისს მოუწოდა, გამოძიების ფარგლებში ყურადღება გაამახვილოს ომის დროს ჩადენილ ყველაზე მძიმე დანაშაულებზე, მათ შორის, ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა.

ადვოკატირების შედეგად, 2018 წლის ბოლოდან ადგილობრივ ოფისს დაემატა ახალი თანამშრომელი ასისტენტის პოზიციაზე, ოფისის ადამიანური რესურსით გაძლიერების მიზნით. გარდა ამისა, 2019 წელს დაზარალებულთა ნდობის ფონდმა დაიწყო დაზარალებულ დევნილთა მდგომარეობის შეფასება, რის შემდეგაც გადაწყდება საქართველოში დევნილთა მხარდასაჭერად კონკრეტული პროგრამების განხორციელების საკითხი.



10 წელი აპკვისტოს ომიდან



დაზარალებულთა მდგომარეობა საქართველოში

საპარლამენტო საქმიანობა და კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულობა



საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული კანონშემოქმედებით პროცესში, რაც გამოიხატებოდა კანონპროექტებზე დასკვნების მომზადებასა და პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებების წარდგენაში. საიას იურისტები მონაწილეობდნენ საკომიტეტო განხილვებში, კომიტეტებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში და საჯაროდ ახმოვანებდნენ ორგანიზაციის პოზიციას.

საანგარიშო პერიოდში საიამ ათზე მეტ საკანონმდებლო პაკეტზე მოამზადა წერილობითი დასკვნა და პარლამენტს წარუდგინა.

საიას მიერ წარდგენილი დასკვნები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. ბავშვის უფლებათა კოდექსი
2. საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი
3. შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის პროექტი
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის პროექტი



5. პოლიციის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა
6. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში მიღების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა
7. სოციალური საწარმოების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა
8. სამართალდარღვევის საქმეებზე მიღებული სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა
9. თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება
10. საჯარო სამსახურში შიდა კონკურსების შემოღება და მერიის წარმომადგენლების პროფესიული საჯარო მოხელედან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაყვანა
11. საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვა
12. საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი

საქართველოს პარლამენტმა საიას მოსაზრებები გაითვალისწინა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- შრომის უსაფრთხოების თაობაზე შრომის ინსპექციის მანდატთან, კანონის მოქმედების სფეროსა და გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები.
- ბავშვის უფლებების დაცვის გარანტიები ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცესში; ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით სასამართლოს თანხმობის მიღების საჭიროება; ბავშვის უფლებების დაცვა საჯარო, ინტერნეტ და მედია სივრცეებში.
- უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობის გზით მიღებისას დადგენილი შეზღუდვების არაკონსტიტუციური ხასიათი, ასევე, საქართველოს მოქალაქისთვის უცხოელის სასარგებლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების აკრძალვა.
- პერსონალური მონაცემების, ასევე, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლების ნათლად ჩამოყალიბება და ერთ-ერთ საფუძვლად საჯარო ინტერესის განსაზღვრა.
- სოციალური მენარმეობის შესახებ წარდგენილი კანონპროექტის განხილვის შეჩერება და კანონპროექტის ავტორისთვის მისი გადამუშავების მოთხოვნა.
- პოლიციის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლების შეზღუდვა და ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელება.

საია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში რელიგიის თავისუფლების რეგულირებასთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სადაც არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე თავისი მოსაზრება და შენიშვნა წარადგინა.

ორგანიზაციამ საკუთარი მოსაზრებები მიაწოდა ასევე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს დებინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჩატარებისას, ამასთან, მონაწილეობა მიიღო განხილვის პროცესში.

საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას გამოიკვეთა როგორც დადებითი ტენდენციები, ისე გამოწვევები.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს: დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობის შემცირება; კანონპროექტების მომზადება თემატური მოკვლევის ჯგუფების დასკვნების საფუძველზე; სამუშაო ჯგუფების შექმნა ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით.

კვლავ გამოწვევად რჩება პარლამენტის კომიტეტების მიერ მოსაზრებების გაზიარების პრინციპი. კერძოდ, მოსაზრებების გათვალისწინება ხდება ძირითადად მხოლოდ მათ მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფორმატში (ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი), ან იმ შემთხვევაში, როდესაც

კანონპროექტი პარლამენტის წევრების მიერ არის ინიცირებული. მოსაზრებების გაზიარება რთულად ან საერთოდ არ ხდება მაშინ, როდესაც კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მხრიდან ასევე დაბალია საკანონმდებლო წინადადებების გათვალისწინების მაჩვენებელი.

საანგარიშო პერიოდში საიამ პარლამენტს წარუდგინა სამი საკანონმდებლო წინადადება:

- „შევრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლითაც შეთავაზებული იყო ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის და გასაჩივრების პროცედურების დეტალური მოწესრიგება. პარლამენტმა წინადადება გაიზიარა ნაწილობრივ – ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შევრების აკრძალვის თაობაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლითაც ადმინისტრაციული დაკავება განისაზღვრებოდა ბრალის გარეშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძვლად. პარლამენტმა აღნიშნული წინადადება არ გაიზიარა.
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილება, რომლითაც შეთავაზებულია თბილისის ტერიტორიაზე იერსახის დამახინჯებასთან დაკავშირებით ისეთივე რეგულაციის დაწესება, როგორიც მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა. აღნიშნული წინადადება პარლამენტს ჯერ არ განუხილავს.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული „ღია პარლამენტის“ საკონსულტაციო ჯგუფში, რომელიც პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მუშაობდა. მასში საიას მიერ შეთავაზებული არაერთი ვალდებულებაა ასახული (კომიტეტების საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცება, დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების საძიებო სისტემის, ასევე, მაჟორიტარი დეპუტატების ელექტრონული რუკის შექმნა, ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშების გამოქვეყნება და მოქალაქეთა ჩართულობა პარლამენტის საზედათხედველო საქმიანობაში).

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება



ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EMWI Access) ფინანსური დახმარებით, 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე პერიოდში განახორციელა პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მდგრადი განვითარება“. პროექტი კახეთის, აჭარის, გურიის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მიმდინარეობდა და მიზნად ისახავდა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ორატორული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და კამათის ხელოვნების დახვეწას, ასევე, თემში სოციალური დიალოგის წარმართვას, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.



პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. პირველ ეტაპზე თითოეულ რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც მოხდა არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ასევე, შედგა შეთანხმება პროექტის ფარგლებში შერჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფების ჩართულობასთან დაკავშირებით.
2. პროექტის მომდევნო ეტაპზე გურიის, აჭარის, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 103 მოსწავლეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ტრენინგებმა ჩაუტარეს სემინარები დებატების ხელოვნებაში.
3. ტრენინგების შემდგომ შეირჩა 34 ახალგაზრდა, რომელთა მონაწილეობითაც ჩატარდა დებატების ეროვნული ტურნირი თემებზე: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და ჯანდაცვა. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა არაფორმალური განათლების სივრცე პანკისის ხეობის ახალგაზრდებისთვის დებატების კლუბის სახით.
4. ტურნირის 34 მონაწილეს ჩაუტარდა ლექცია შემდეგ თემებზე: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობა, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის არსი და მნიშვნელობა, მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული გარანტიები და სხვა.
5. გაიმართა დასკვნითი საინფორმაციო შეხვედრა პროექტის ფარგლებში შექმნილ საინიციატივო ჯგუფებთან, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადამწყვეტილების მიღების პროცესში.

6. საინიციატივო ჯგუფების წევრთა მონაწილეობით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი საქართველოს პარლამენტში. ახალგაზრდები შეხვდნენ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წარმომადგენლებს, რა დროსაც შედგა შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობაზე.

7. გურიისა და კახეთის რეგიონებში მცირე მენარმეებისთვის ჩატარდა ტრენინგები საგადასახადო სამართლის საფუძვლების შესახებ.

პროექტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში ჯამში 235 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

პროექტის მიმდინარეობის პროცესში ნათლად გამოჩნდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა გაუცხოება ქართული საზოგადოებისგან, მათი ინდივიდუალური დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც: სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა, თვითმმართველ ერთეულებთან კომუნიკაციის უქონლობა, არაფორმალური განათლების სივრცეების არარსებობა და სხვა.

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა გარკვეული პრობლემების მოგვარების გზების დასახვა. აღნიშნული პროცესი დაფუძნებული იყო დიალოგზე, რაც, როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდგომ, ძირეული ცვლილებებისა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის წინაპირობად იქცა. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, რომელთა ჩართულობას ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში ხელს შეუწყობენ თვითმმართველობის წარმომადგენლები. საია, თავის მხრივ, პროექტის დასრულების შემდგომაც ახორციელებს აღნიშნული პროცესების მონიტორინგს. ამასთან, გემოხსენებული აქტივობები მოქალაქეებს მისცემს დამატებით სტიმულს, სხვადასხვა ინიციატივით მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.



ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, გასული წლის მსგავსად, აქტიურად გააგრძელა ქართული არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა. ამ მხრივ, ორგანიზაციის პრიორიტეტს წარმოადგენდა ქვეგრანტების გაცემა და მათი ადმინისტრირება, რა დროსაც ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ ორგანიზაციების ინსტიტუციურ გაძლიერებას, არამედ, ასევე, სხვადასხვა თემატური მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას და გამოცდილების გაზიარებას.

საიას მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე, ქვეგრანტები გაიცა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადვოკატირებისა და კვლევა/მონიტორინგის განხორციელების გზით.
- სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების უზრუნველყოფით – საქართველოში არსებული გამოწვევებისა და კარგი პრაქტიკის კვლევის საფუძველზე.


აღნიშნულის გარდა, მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილია ქვეგრანტების გაცემა შემდეგი მიმართულებებით:

- საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ადვოკატირება/მონიტორინგი.
- პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის შემუშავება და შეფასება.



მედია და საზოგადოებრივი კამპანიები

საია, უკვე წლებია, ლიდერის პოზიციას იკავებს მედიაგაშუქების კუთხით. კვლევითი ორგანიზაცია „აიფიემ რისერჩის“ მიერ მონოღებული სტატისტიკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საიას მედიაგამოვლინება რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიყურებოდა:





სოციალური მედია

საია აქტიურად პოზიციონირებს სოციალურ მედიაში. ორგანიზაცია ყოველდღიურ რეჟიმში აწოდებს მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარი აქტივობების შესახებ. ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელ Facebook-ზე საიას 46,247 გამომწერი ჰყავს. ორგანიზაცია ასევე წარმოდგენილია შემდეგ ონლაინპლატფორმებზე: twitter, linkedin, Instagram.

გარდა ზემოაღწერილისა, შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის ფარგლებში:

- პერიოდულად ტარდება ტრენინგი რეგიონული ოფისების თანამშრომლებისთვის ტრადიციულ და ახალ მედიაში კომუნიკაციის სწორად წარმართვის თემატიკაზე.
- რეგულარულად ხდება თანამშრომლებში ინფორმაციის ცირკულაცია დარგობრივი საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების/განცხადებების შესახებ.
- ორგანიზაციის კომუნიკაციის პოლიტიკას განსაზღვრავს საკომუნიკაციო გეგმის სახელმძღვანელო.
- შემუშავდა სოციალური არხების მართვის ახალი კონცეფცია.
- განახლდა ორგანიზაციის პოზიციონირების ანალიზის დოკუმენტი როგორც ტრადიციულ, ისე ახალ მედიაში.
- ჩატარდა ორი ტრენინგი საჯარო გამოსვლებისა და მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით.



საზოგადოებრივი კამპანიები

2019 წელს საიამ დაასრულა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია #ილაპარაკე, რომლის მიზანი იყო, მსხვერპლებს ძალადობის ფაქტები არ დაემაღათ. აღნიშნულთან დაკავშირებით საიამ მოამზადა 6 ვიდეორგოლი და ერთი ფოტოპროექტი. კამპანიის შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელებში მილიონზე მეტ ადამიანს მისწვდა. შედეგად, საიას კონსულტაციისთვის მიმართა 6661-მა ბენეფიციარმა.



1 year ago
#ილაპარაკე
4 likes, 0 comments, 0.08% likes



1 year ago
#ილაპარაკე
1 like, 0 comments, 0.02% likes



1 year ago
#ილაპარაკე
1 like, 0 comments, 0.02% likes



1 year ago
#ილაპარაკე #tbilisiopenair2017
19 likes, 0 comments, 0.38% likes




1 year ago



1 year ago
#ილაპარაკე



1 year ago
#ილაპარაკე #tbilisi #summernights #friends




უკვე მეორე წელია, საია აწარმოებს კამპანიას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის მოთხოვნით. კამპანიის ფარგლებში მომზადდა 5 ვიდეორგოლი და გაიმართა 10-მდე საჯარო შეხვედრა, ასევე, გამოიცა კვლევა „დაკარგული თვალის მიღმა“, რომელშიც შეფასებულია 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები.



ფინანსური ანგარიში

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში გრანტის, შემოწირულობისა და სანევროს სახით მიღებულია 2,819,880.49 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 125 თანამშრომელი, მათ შორის 56 – რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,891,239.83 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 186 პირზე – სულ 196,326.85 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 440,617.96 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 24,192.31 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 6,250.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 12,564.57 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 2,325.00 ლარის ღირებულების.




საიას მიერ ორგანიზებული სემინარებისა და შეხვედრების ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 80,127.53 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 225,534.87 ლარი, საიას ოფისების ქირამ – 139,776.15 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა – 35,242.25 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 8,626.40 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 90,769.10 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,997,757.17 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საწესრიგო	767.60
-----------	--------

შემოწმისულება	8,844.71
---------------	----------

დონორები და პარტნიორები



Kingdom of the Netherlands

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

SIGRID RAUSING TRUST



USAID
ამერიკელი ხალხისგან



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE

EHRAC

**DEMOCRACY
REPORTING
INTERNATIONAL**



სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მთავალბმების ჩართულობის კომპიტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



ლია
საზოგადოების
ფონდი


**Brot
für die Welt**

Bread for the World –
Protestant
Development Service



NDI

NATIONAL
DEMOCRATIC
INSTITUTE



Norwegian Embassy



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



British Embassy
Tbilisi



EQUAL RIGHTS TRUST

საიას მმართველობის ორგანოები

2019 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

■ მამბეობის წევრები

სულხან სალაძე - თავმჯდომარე
ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარის მოადგილე
თამარ აბაზაძე
ქეთევან აბაშიძე
თაია არაბული
ირენა გაბუნია
თამარ გვარამაძე
ირაკლი გვენეტაძე
მიხეილ დაუშვილი
ანა დოლიძე
ნათია კაპანაძე
კახა კოჭორიძე
ვახტანგ მენაბდე
ლევან მოსახლიშვილი
ვენერა სუქნიძე
მიხეილ ღოღაძე
თინათინ შელია
ქეთევან შუბაშვილი
სოფიო ჭარელი
თამარ ხიდაშელი
ნინო ხუხუა

■ სარევიზიო კომისია

თამარ სარაჯიშვილი
მალხაზ ვეფხვაძე
ნინო ბიბილური
ნინო სამადაშვილი
ანა კოტეტიშვილი

■ რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - ანა მდინარაძე
ქუთაისის ფილიალი - ზაალ გორგიძე
რუსთავის ოფისი - ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი - მარეზ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი - ჯანო ჭკადუა

■ დირექტორთა საბჭო

სულხან სალაძე - თავმჯდომარე
ვახტანგ მენაბდე - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი
ნონა ქურდოვანიძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი
ირმა პავლიაშვილი - ადმინისტრაციული დირექტორი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

■ თბილისი

ჭ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

■ ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

■ აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

■ გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

■ რუსთავის ოფისი

კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

■ თელავის ოფისი

26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

■ ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

■ დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

■ ზუგდიდის ოფისი

ლალიძის ქ. №3 (ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge

25 წელი

ადამიანის უფლებებისთვის

